პროექტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
განკარგულება N 10

2023 წლის 6 თებერვალი ქ. ბათუმი

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესისა და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს:

ა) ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესი, თანახმად №1 დანართისა;

ბ) ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი, თანახმად №2 დანართისა (19.12.2024, N99).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესისა და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 იანვრის N15 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

დანართი N1

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის მუშაობის წესი

მუხლი 1.

წინამდებარე წესი არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) უსაფრთხო გარემოში გადაყვანის მიზნით შექმნილ, შერეული სამთავრობო კომისიის (შემდგომში - კომისია) მუშაობის წესს. კომისია იქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2.

კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომას იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 3.

კომისიის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

მუხლი 4.

კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება დღის წესრიგის მიხედვით.

მუხლი 5.

კომისიის სხდომები, როგორც წესი ღიაა. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სხდომა ან სხდომის ნაწილი, კომისიაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება დახურულად გამოცხადდეს.

მუხლი 6.

კომისიის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რაც დაერთვება მიღებულ გადაწყვეტილებას.

მუხლი 7.

საჭიროების შემთხვევაში, კომისია ქმნის სამუშაო ჯგუფებს კომისიის მუშაობაში, კომისიის მუშაობაში შესაძლებელია მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები, სპეციალისტები, ექსპერტები ან სხვა პირები. მოწვეული პირები კენჭისყრაში არ მონაწილეობენ.

მუხლი 8.

გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის წესით. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 9.

კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი სხდომის ოქმით, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, განსახილველ საკითხთა დღის წესრიგი, მოხსენებები, გამოთქმული აზრი, მიღებული გადაწყვეტილება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

მუხლი 10.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია:

ა) გასცეს რეკომენდაცია ბენეფიციარისათვის შესაბამისი დახმარების გაწევის თაობაზე ან უარი თქვას რეკომენდაციის გაცემის შესახებ;

ბ) მოიწონოს ან მისცეს უარყოფითი შეფასება განხილულ საკითხს;

გ) არასაკმარისად ცნოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე არსებული მასალა/დოკუმენტაცია ან გაწეული საქმიანობა. ამ მოტივით დამატებითი შესწავლის მიზნით დააბრუნოს საკითხი და აღნიშნული საკითხის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში განიხილოს იგი ხელახლა;

დ) ცნობად მიიღოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი ინფორმაცია.

ე) გადადოს საკითხის განხილვა.

მუხლი 11.

კომისიის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

მუხლი 12.

კომისიის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას (წერილი, მიმართვა, მოხსენებითი ბარათი და ა.შ.), როგორც წესი ხელს აწერს კომისიის

თავმჯდომარე, ხოლო კომისიის ოქმებს და საბოლოო გადაწყვეტილებებს (დასკვნა, წინადადება, რეკომენდაცია და ა.შ.) შესაბამისი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ყველა პირი, მიუხედავად იმისა დაუჭირა თუ არა მხარი მიღებულ გადაწყვეტილებას. კომისიის წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მიღებულ გადაწყვეტილებებს უფლება აქვთ მოითხოვონ სხდომის ოქმში განსხვავებული აზრის დაფიქსირება.

მუხლი 13.

კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 14.

კომისიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივ და მატერიალურ - ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დანართი N2
(19.12.2024, N99)

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის წესს (შემდგომში - წესი).

2. წესის მიზანია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტიქიით დაზარალებული და ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა, საცხოვრებელი ფართის შესყიდვის ან ბენეფიციარის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით.

მუხლი 2. მოსარგებლეები

„ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამით სარგებლობა შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახს (შემდგომში - ეკომიგრანტი ოჯახი), რომლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე საკუთრებაში არსებული სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მაღალი ან საშუალო რისკის თოვლის ზვავი, მდინარეების ან ზღვის ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი და სხვა) ან არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ოჯახის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ასევე საფრთხე ექმნება აღნიშნულ მონაკვეთზე არსებულ სავალ გზებზე გადაადგილებას.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. მთავრობა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

2. კომისია - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისია;

3. კომისიის თავმჯდომარე - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციართა შესარჩევი შერეული სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე;

4. სამინისტრო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

5. დეპარტამენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი;

6. უწყება - ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო;

7. მერია - მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო;

8. პროგრამა - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამა;

9. ეკომიგრანტი ოჯახი - სტიქიით დაზარალებული, ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებული, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად და ფაქტობრივად ერთად მცხოვრები (მიუხედავად რეგისტრაციისა) ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას. ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი;

10. ბენეფიციარი - ეკომიგრანტი ოჯახი;

11. განაცხადი - „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ პროგრამაში ჩართვის მიზნით ბენეფიციარის მიერ მერიაში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა;

12. დაზარალებული - ეკომიგრანტი ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წარმომადგენელი, რომელიც ავსებს განაცხადს დახმარების მიღების მიზნით;

13. I კატეგორია - გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი, რომლის საკუთრებაში არსებული სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის/ზღვის წლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, საშუალო ან მაღალი რისკის თოვლის ზვავი, რომელიც ემუქრება საკარმიდამო ნაკვეთში მდებარე საცხოვრებელ სახლს/დამხმარე შენობა/ნაგებობას ან/და ერთადერთ გადასაადგილებელ გზის მონაკვეთს და სხვა ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენა) და საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას/სიცოცხლეს ან/და მათ ქონებას;

14. II კატეგორია - გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი, რომლის საკუთრებაში არსებული სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის/ზღვის წლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, საშუალო ან მაღალი რისკის თოვლის ზვავი, რომელიც ემუქრება საკარმიდამო ნაკვეთში მდებარე საცხოვრებელ სახლს/დამხმარე შენობა/ნაგებობას ან/და ერთადერთ გადასაადგილებელ გზის მონაკვეთს და სხვა ნებისმიერი სახის სტიქიური მოვლენა) საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას/სიცოცხლეს ან/და მათ ქონებას;

15. ბაზა - სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ბაზაზე არსებული, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, სადაც დარეგისტრირება შეუძლია ნებისმიერ ოჯახს, ვისაც მიაჩნია რომ დაზარალდა სტიქიური პროცესების შედეგად და გააჩნია შესაბამისი დასკვნა/აქტი. ბაზაში დარეგისტრირება წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ შესაბამისი უწყების მიერ მოხდეს ბენეფიციარი ოჯახის გადამოწმება/შესწავლა.

16. პრიორიტეტთა ქულა - „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიანი ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში“ მოქალაქეთა მიერ ოჯახის სოციალურ მდგომარეობაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და მერიის მიერ მინიჭებული კატეგორიის შესაბამის ქულათა პირველადი ჯამი, რომელიც განსაზღვრავს ბენეფიციართა პროგრამაში ჩართვის რიგითობას. ბენეფიციარი ოჯახის გადამოწმების/შესწავლის შედეგად პირველადად მინიჭებული პრიორიტეტთა ქულა შესაძლებელია დაკორექტირდეს ან/და უარი ეთქვას ოჯახს პროგრამაში ჩართვაზე, სოციალური მონაცემთა ამ წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის გამო;

17. შუამდგომლობა - მერიიდან წარმოდგენილი კორესპოდენცია, ბენეფიციართა პროგრამაში ჩართვის მიზნით;

18. ნებართვა - ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ნებართვა;

19. შეთავაზება - ბენეფიციარისათვის სამინისტროს წერილობითი შეთავაზება, შესასყიდად სასურველი საცხოვრებელი ფართის მონაცემთა წარმოდგენის ან ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ნებართვის წარმოდგენა.

20. დახმარება - კომისიის გადაწყვეტილებით და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა სამინისტროს მიერ შემდეგი სახით:

ა) საცხოვრებელი ფართის გამყიდველისათვის უძრავი ქონების ღირებულების გადახდა ბენეფიციარის სასარგებლოდ, მაგრამ არა უმეტეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული ოდენობისა;

ბ) ბენეფიციარისათვის, მის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა, მაგრამ არა უმეტეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით ამ მიზნით გათვალისწინებული ოდენობისა;

21. დასკვნა/აქტი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც რეკომენდირებულია დაზარალებული ოჯახის გადაადგილება სტიქიური მოვლენით გამოწვეული საფრთხის გამო. ასევე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე აკრედიტირებული პირის დასკვნა.

22. მონიტორინგის აქტი - სამინისტროს შესაბამისი სამსახურ(ებ)ის მიერ სტიქიით დაზარალებულთა ოჯახების საცხოვრებელი პირობების ადგილზე შესწავლის შედეგად შევსებული ფორმა.

მუხლი 4. ბენეფიციართა შერჩევა

1. ბენეფიართა პროგრამაში ჩართვა ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილებით, რისთვისაც კომისია ყოველი წლის დასაწყისში და/ან საჭიროებისამებრ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურებიდან და/ან დეპარტამენტიდან გამოითხოვს მაღალ პრიორიტეტთა ქულების მქონე, განსაზღვრული რაოდენობის დაზარალებულთა მონაცემებს, რომელთა განაცხადები ბაზაში უკვე შეფასებულია და ქულა დათვლილია კომისიის სხდომის ჩატარების თარიღის მონაცემებით;

2. პროგრამაში ჩართვის მიზნით განიხილება „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრირებული და პრიორიტეტთა ქულა მინიჭებული ბენეფიციარი, რომელიც შესაბამისი დასკვნის/აქტის თანახმად, ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას და არ გააჩნია საკუთრებაში/მფლობელობაში საკმარისი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი;

3. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე ოჯახზე წარმოდგენილია განსხვავებული შინაარსის ერთი და იგივე სამსახურის მიერ შესრულებული რამდენიმე დასკვნა/აქტი, უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან შესრულებულ დასკვნას/აქტს ან განხორციელდება გადამოწმება. დავის შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიას შეუძლია განხილვაში მიიღოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;

4. ბენეფიციარი სამინისტროს პროგრამაში ჩართვის მიზნით, ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული მოთხოვნის გარდა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით მოთხოვნებს:

ა) 2010 წლის 1 იანვრიდან, შუამდგომლობის აღძვრამდე, უწყვეტად რეგისტრირებულ(ნ)ი არის/არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (აღნიშნული რეგულაცია არ ვრცელდება ქორწინების შედეგად ოჯახში შემატებულ წევრებზე, არასრულწლოვნებსა და სტუდენტებზე და პირებზე, რომლებიც 2010 წლისათვის იყვნენ არასრულწლოვნები);

ბ) ბაზაში ასახული დაზარალების კატეგორია მინიჭებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მერიის მიერ;

მუხლი 5. ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის პროცედურა

1. სამინისტრო:

ა) სამინისტრო, ეკომიგრანტთა პროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამის მერიებს აწვდის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მომზადებულ მონაცემებს. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე წესით გათვალისწინებულ კრიტერიუმ(ებ)ს, მერია უარს აცხადებს ოჯახის პროგრამაში ჩართვის მიზნით შუამდგომლობის აღძვრაზე, რაზედაც გონივრულ ვადაში აცნობებს სამინისტროსა და განმცხადებელს;

ბ) ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს განაცხადის, დაზარალების ადგილის ან/და დროებითი ადგილსამყოფელის მიხედვით ეკომიგრანტი ოჯახის შესწავლის აქტის ფორმებს. ასევე, მიმდინარე საქმიანობის დროს ბენეფიციართა ოჯახების მონიტორინგისა და შესწავლისათვის წარმოშობილი საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა ფორმებს;

გ) კომისიის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაზარალებულს უგზავნის შეთავაზებას შესასყიდად სასურველი საცხოვრებლი ფართის მონაცემების ან ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ მიწის ფართზე შესაბამისი მუნიციპა-ლიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის წარმოდგენის მიზნით;

დ) იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ შეთავაზებულ ვადაში ბენეფიციარმა ვერ წარადგინა შესასყიდად სასურველი სახლის მონაცემები/მშენებლობის ნებართვა და მოითხოვა დამატებითი ვადა, სამინისტრო უფლებამოსილია იმავე ვადით გაუგრძელოს ბენეფიციარს უძრავი ქონების/მშენებლობის ნებართვის წარმოდგენის ვადა, თუ აღნიშნული ვადის ხანგრძლივობა შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე, არ შეცვლილა კომისიის მიერ;

ე) სამინისტრო უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ბენეფიციარის მოთხოვნა შეცვალოს არჩევანი უძრავი ქონების შესყიდვასა თუ მშენებლობის ნებართვის წარმოდგენას შორის, წარმოდგენილი უძრავი ქონების შეფასებამდე/ხელშეკრულბის გაფორმებამდე;

ვ) ხელს უწყობს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას კომისიას, მერიას და დაზარალებულ ოჯახებს შორის;

ზ) განაცხადის განხილვის ან/და დამატებითი ინფორმაციის მოძიების/გადამოწმების საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიძიოს/მიიღოს დამატებითი ან სხვა საჭირო ინფორმაციები, როგორც დაზარალებულიდან, ასევე უწყებებიდან;

თ) უწევს მეთოდურ დახმარებას და სხვადასხვა სახის კონსულტაციებს მერიას და დაზარალებულებს;

ი) შუამდგომლობით წარმოდგენილი კორესპონდენციის ან მისი ნაწილის არასრულად/ხარვეზით წარმოდგენის შემთხვევაში, რეკომენდაციას უწევს მერიას წარმოსადგენი ინფორმაციის გასწორების/დაზუსტების მიზნით;

კ) დაზარალებულსა და მერიას შორის წარმოშობილი უთანხმოების შემთხვევაში, ახორციელებს მედიატორის ფუნქციას და მხარეებს აძლევს რეკომენდაციას;

2. დეპარტამენტი:

ა) ახორციელებს ბენეფიციართა განაცხადების მიღებასა და დამუშავებას, რაც გულისხმობს შემდეგს:

ა.ა) ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობებისა და საჭიროებების შესწავლისათვის ბაზაში არსებული ინფორმაციის მიღებას;

ა.ბ) დეპარტამენტში მიღებული ინფორმაციის ბაზაში ასახვას;

ა.გ) ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით ან/და შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვას/მიღებას ეკომიგრანტი ოჯახ(ებ)ისაგან, მონიტორინგის შესაბამისი სამსახურიდან და სხვადასხვა უწყება/დაწესებულებებიდან.

ა.დ) მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციას აწვდის შესაბამის უწყებას, ეკომიგრანტი ოჯახ(ებ)ისათვის ბაზაში მინიჭებულ წინასწარ პრიორიტეტთა ქულის დაკორექტირების მიზნით;

ბ) კომისიის სხდომაზე წარდგენის მიზნით, გამოითხოვს/იღებს მონაცემებს, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობაზე და აწვდის შესაბამის მერიებს;

გ) ორგანიზებას უკეთებს წარმოდგენილი შუამდგომლობების კომისიის სხდომაზე გატანას;

დ) უზრუნველყოფს, კომისიის მიერ ექსპერტიზაზე გაგზავნილი და დამაკმაყოფილებულად შეფასებული უძრავი ქონების მონაცემების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისათვის გადაცემას, ქონების ბენეფიციარისათვის შესყიდვის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნა არადამაკმაყოფილებელია ან არაერთგვაროვანი შეფასება აქვს, საკითხს განხილვისათვის წარუდგენს კომისიას;

ე) უზრუნველყოფს, კომისიის გადაწყვეტილებით მიღებული მშენებლობის ნებართვ(ებ)ის (საჭიროების შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვის) მონაცემთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტისათვის გადაცემას, ბენეფიციარის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მიწის ნაკვეთის განკარგვის შეზღუდვისა და მშენებლობის/მშენებლობის დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით;

ვ) უზრუნველყოფს, ამ მუხლის ,,დ)“ და ,,ე)“ პუნქტით გათვალისწინებული ძალაში შესული ხელშეკრულებ(ებ)ის/შეზღუდვ(ებ)ის მონაცემთა გადაცემას სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტისათვის გონივრულ ვადაში გადაცემას;

ზ) კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ან/და შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე, ახორციელებს ეკომიგრანტ ოჯახთა შესწავლას ან/და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად კომისიის სხდომაზე წარმოშობილი დამატებითი კითხვების დაზუსტებას დაზარალებულთა ადგილსამყოფელის მიხედვით ან/და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით;

თ) ბენეფიციართა პროგრამაში ჩართვის მიზნით ამ წესის, შეთანხმებების/მემორანდუმებისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს;

ი) ასრულებს კომისიის ცალკეულ მითითებებს.

3. მერია:

ა) ბენეფიციართა პროგრამაში ჩართვის მიზანშეწონილობაზე საკითხის შესწავლის მიზნით, ახდენს ოჯახის შემადგენლობისა და სოციალური მდგომარეობის დეტალურ შესწავლას და გონივრულ ვადებში აღძრავს შუამდგომლობას სამინისტროში. იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი არ აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმ(ებ)ს, სამინისტროში წარადგენს წერილობით უარს არგუმენტირებული დასაბუთებით;

ბ) დაზარალებულს აცნობებს არსებული ინფორმაციის დაზუსტების/კორექტირების საჭიროებაზე. ასევე შუამდგომლობის აღძვრაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შეთხვევაში წერილობით აცნობებს დაზარალებულს;

გ) დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კომისიაზე წარადგენს:

გ.ა) დაზარალებულის განაცხადს;

გ.ბ) დაზარალების ადგილის მიხედვით ეკომიგრანტი ოჯახის შესწავლისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული/დაზიანების რისკის ქვეშ არსებული საცხოვრებელი სახლის მონიტორინგის აქტს;

გ.გ) დროებითი (ფაქტიური) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ეკომიგრანტი ოჯახის შესწავლის აქტს (საჭიროების შემთხვევაში);

დ) თუ არსებობს დაზარალებულ ოჯახზე გაცემული დასკვნა/აქტი, რომლითაც დასტურდება, რომ მისი ოჯახი საჭიროებს გადაადგილებას ნებისმიერი სტიქიური მოვლენით გამოწვეული საფრთხის გამო, დაზარალებულს უწევს კონსულტაციას მისი ბაზაში დარეგისტრირების მიზნით;

ე) შესაძლებელია წარადგინოს შუამდგომლობა ურიგოდ, წინამდებარე წესით გაუთვალისწინებელი საპატიო შემთხვევების მოგვარების/გადაწყვეტის მიზნით, რაზედაც იმსჯელებს კომისია.

ვ) პასუხისმგებლია შუამდგომლობის მიზნით წარმოდგენილი კორესპოდენციით მოწოდებულ ინფორმაციაზე/მოკვლევასა და დოკუმენტაციის სიზუსტეზე.

4. კომისია:

ა) სხდომების ჩატარების ეტაპები, თარიღი, დრო და დღის წესრიგი დგინდება კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის გადაწყვეტილებით, რაზედაც კომისიის წევრებს ეცნობება მათთვის მისაღები კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით;

ბ) განაცხადების განხილვის თითოელ ეტაპზე, იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არა უმეტეს 15 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით;

გ) პრიორიტეტთა ქულათა რაოდენობის გაუთვალისწინებლად, კომისიას შეუძლია იმსჯელოს იმ ოჯახ(ებ)ის პროგრამაში ჩართვაზე, რომლის/რომელთა უსაფრთხო გარემოში გადაყვანა სასწრაფოდ არის რეკომენდირებული დასკვნის/აქტის საფუძველზე ან წარმოდგენილია არგუმენტირებული მოთხოვნა მერიის ან/და სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო უწყების მიერ;

დ) იღებს გადაწყვეტილებას, ბენეფიციართა მიერ შესასყიდად წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართ(ებ)ის ექსპერტიზაზე გაგზავნის მიზნით, მათი ტექნიკური და საბაზრო ღირებულების შესაფასებლად; ავალებს დეპარტამენტს, დამაკმაყოფილებელი დასკვნების მონაცემები გადასცეს იურიდიულ დეპარტამენტს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნა არადამაკმაყოფილებელია ან არაერთგვაროვანი შეფასება აქვს, დამატებით განიხილავს მომდევნო სხდომაზე;

ე) მერიის შუამდგომლობის საფუძველზე, ასევე იმსჯელებს იმ ეკომიგრანტი ოჯახ(ებ)ის პროგრამაში ჩართვაზე, რომელთა:

ე.ა) ალტერნატიულ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება არის ქორწინების შედეგად ოჯახში შემატებული წევრის თანასაკუთრებაში არსებული ქონება;

ე.ბ) ოჯახის რომელიმე წევრის ალტერნატიულ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული/მიღებული უძრავი ქონება არის სხვა (არა ოჯახის წევრის/ოჯახიდან გამოყოფილი წევრ(ებ)ის) პირ(ებ)ის თანასაკუთრებაში არსებული ქონება;

ე.გ) სტიქიის ზონაში დარჩენილი ოჯახის იმ წევრთა პროგრამაში ჩართვის მიზნით, რომელთა ოჯახიდან გამოყოფილ წევრ(ებ)ს გააჩნია/გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი და წერილობით უარს აცხადებს/აცხადებენ პროგრამაში ჩართვაზე;

ე.დ) სტიქიით დაზიანებული უძრავი ქონება რეგისტრირებულია/რეგისტრირებული იყო ოჯახიდან გამოყოფილ წევრ(ებ)ზე, მაგრამ არ საჭიროებენ პროგრამაში ჩართვას, უარს აცხადებენ დახმარების მიღებაზე დაზარალებულ სახლში მცხოვრები ბენეფიციარის სასარგებლოდ, რომელსაც საკუთრებაში გადასცეს დაზიანებული ქონება;

ე.ე) ალტერნატიული უძრავი ქონება (სახლი ან ბინა) განხილვის ეტაპზე არ არის დასრულებელი და ბენეფიციარი ვერ უზრუნველყოფს მის საცხოვრებლად ვარგის პირობებში მოყვანას, რაც დასტურდება შუამდგომლობის აღმძვრელი მერიის, სამინისტროს შესაბამისი სამსახურის ან/და მშენებელი კომპანიის მიერ წერილობით;

ე.ვ) გადამოწმების სხვადასხვა ეტაპზე მფლობელობაში/საკუთრებაში აღმოაჩდა(თ) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, რომლის საცხოვრებელი

ფართის მოცულობა არ არის საკმარისი დაზარალებულთა სრულფასოვანი თანაცხოვრებისათვის, ან ალტერნატიული უძრავი ქონება (სახლი ან ბინა) ამორტიზირებულია და საცხოვრებლად უვარგისია, რაც დასტურდება შუამდგომლობის აღმძვრელი მერიის, სამინისტროს მონიტორინგის ან სხვა შესაბამისი სამსახურის მიერ;

ე.ზ) ადგილზე მუდმივად მცხოვრებ ბენეფიციარ(ებ)ზე, რომელთა ოჯახიდან გამოყოფილ წევრებს (მათ შორის შვილებს) აქვთ საკმარისი ალტერნატიული ფართი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობენ მათთან ერთად თანაცხოვრებაზე და დაზარალების ადგილზე მუდმივად აგრძელებენ ცხოვრებას (რაც დასტურდება შესაბამისი მერიის მოკვლევითა და ადგილზე მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მთის სტატუსი, ადგილზე დასაქმების დამადასტურებელი ცნობა (დასაქმების შემთხვევაში), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მისამართი (თუ რეგისტრირებულია აღნიშნულ ბაზაში) ან/და ბოლო ექვსი თვის მანძილზე ელექტრო ენერგიის /გაზის უწყვეტი მოხმარების ამონაწერი) წარმოდგენით;

ე.თ) სახელმწიფოსგან ან დონორი ორგანიზაციებიდან, დაზარალების გამო მიღებული აქვს მხოლოდ მიწის ნაკვეთი მშენებლობისთვის და იმავდროულად ფინანსური დახმარება არაუმეტეს 7 000 ლარისა, რომლის ტერიტორიაზე მდგომი შენობა/ნაგებობა მიმდინარე ეტაპზე საცხოვრებლად გამოუსადეგარია და აღნიშნული დასტურდება შესაბამისი მერიის მიერ წერილობით;

ე.ი) არქივის ან მუნიციპალიტეტში არსებული სხვა საინფორმაციო წყაროებით ბენეფიციარი 2 000 წლამდე მიგრირებული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ვერ მოახერხა ინტეგრირება და დაბრუნდა ძირითად საცხოვრებელ ადგილზე. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს დროებით ჩასახლების ადგილიდან, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ.

ვ) კომისია, ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მერიის, სხვადასხვა უწყებ(ებ)იდან მიღებული ინფორმაცი(ებ)ისა და მონიტორინგის აქტით გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით, რომელზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ უწყებას/სამსახურს;

ზ) პროგრამაში ჩართვის მიზნით არ განიხილება დაზარალებული ოჯახების განაცხადები, რომლებსაც:

ზ.ა) სხვადასხვა უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციით სახელმწიფოსაგან ან დონორი ორგანიზაციებიდან, ადგილმონაცვლეობის მიზნით ერთხელ უკვე მიღებული აქვთ დახმარების სახით საცხოვრებელი სახლი ან სანაცვლოდ სათანადო ფულადი დახმარება 15 000 ლარი და მეტი;

ზ.ბ) შესაბამისი დასკვნის/აქტის გაცემის თარიღამდე ერთი წლის განმავლობაში და შემდგომ (განხილვის ეტაპამდე) გააჩნდათ/გააჩნიათ საკმარისი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, გარდა:

ზ.ბ.ა) ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 ქუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა;

ზ.ბ.ბ) შუამდგომლობის აღმძვრელი უწყება წარუდგენს მოკვლევას/ინფორმაციას, რომლის საფუძველზე ადასტურებს, რომ ბენეფიციარის მიერ უძრავი ქონების გასხვისება განხორციელდა არა ფიქტიურად, არამედ დამდგარი საჭიროებიდან გამომდინარე და მოითხოვს დაზარალებული ოჯახის პროგრამაში ჩართვას;

თ) თუ დაზარალებულის მიერ, ბაზაში მიწოდებული ან მერიიდან წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდა მცდარი ან/და არ დადასტურდა, განაცხადი სამინისტროს პროგრამაში ჩართვის თაობაზე დარჩება განუხილველი მის შესწორებამდე;

ი) კომისია უნდა ეყრდნობოდეს და ითვალისწინებდეს მერიებიდან წარმოდგენილ შუამდგომლობებს, დამატებით მოკვლევებსა და რეკომენდაციებს, გარდა იმ შემთხვევისა თუ კომისიას გააჩნია მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საწინააღმდეგო არგუმენტირებული მტკიცებულება.

მუხლი 6. ბენეფიციარისათვის საცხოვრებელი სახლის შესყიდვა

1. ნასყიდობის ღირებულების მაქსიმალური ოდენობა ერთ საცხოვრებელ ფართზე განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში.

2. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფართის გასაყიდი ღირებულება აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, სურვილისა და შეთანხმების შემთხვევაში, ბენეფიციარი ფართის შეძენის მიზნით თავად ფარავს დარჩენილ სხვაობას.

3. დაზარალებულ ოჯახებს, კომისიის გადაწყვეტილებით ეძლევათ შეთავაზება არანაკლებ 1 თვის ვადაში საქართველოს ტერიტორიაზე მოიძიოს შესასყიდად სასურველი საცხოვრებელი ფართი (უძრავი ქონების სახე: ბინა ან კერძო სახლი, რომელიც იყიდება მიწის ნაკვეთით ან რამდენიმე ნაკვეთით ან მის გარეშე) და მონაცემები წარადგინოს სამინისტროში. კომისიას შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია შეცვალოს შეთავაზებული ვადა.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ოჯახი ვერ შეარჩევს შესასყიდად სასურველ საცხოვრისს, პრიორიტეტთა ქულის გათვალისწინებით კომისია რიგით სხვა დაზარალებულ ოჯახს უგზავნის შეთავაზებას. ოჯახს, რომელმაც მისთვის განკუთვნილ ვადაში ვერ ისარგებლა შეთავაზებით, ფართის შესყიდვის მოთხოვნით შეუძლია მიმართოს კომისიას/სამინისტროს იმ ეტაპზე, როცა შეძლებს საცხოვრისის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან დაზარალებულ ოჯახს ადრინდელ ეტაპზე

მიღებული ჰქონდა შეთავაზება, კომისია წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზაზე გადაგზავნის მიზნით იმსჯელებს ურიგოდ.

5. კომისია, ბენეფიციარის მიერ შესასყიდად შერჩეული საცხოვრებელი ფართის მონაცემებს, ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრისა და საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით აგზავნის ექსერტიზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმოდგენილი საცხოვრისის ფოტომასალა ცხადყოფს, რომ საცხოვრებელი ფართი დაზიანებულია და საცხოვრებლად უვარგისია.

6. ექსპერტიზის ღირებულება განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებელ მხარესა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ფაქტობრვად შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და მომსახურების ტარიფების გათვალისწინებით. ექსპერტიზის ხარჯებს ფარავს სამინისტრო;

7. ბენეფიციარს უფლება აქვს შესყიდვის მოთხოვნით განმეორებით წარადგინოს სამინისტროში სხვა საცხოვრებელი ფართი, თუ:

ა) სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხდა საბოლოო შეთანხმება მყიდველსა და გამყიდველს შორის;

ბ) უარყოფითია საექსპერტო დასკვნა უკვე შერჩეული სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე ან ქონების საბაზრო ღირებულება ნაკლებია პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებაზე;

გ) წარმოდგენილი ფოტომასალის საფუძველზე, კომისიამ უარი თქვა ეკომიგრანტი ოჯახის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მდგრადობის/უსაფრთხოების/ტექნიკური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

8. იმ შემთხვევაში, თუ ვერ განხორციელდა შესყიდვა ბენეფიციარის მიერ ერთხელ უკვე წარმოდგენილ უძრავ ქონებაზე, ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული მიზეზების გამო, ბენეფიციარის მიერ შესყიდვის მიზნით, მეორე მცდელობაზე წარმოდგენილი ფართის ექსპერტიზის ხარჯებს კვლავ სამინისტრო გაიღებს, თუ დაზარალებული:

ა) რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 000 ქულითა და ნაკლებით;

ბ) ოჯახში არის შვიდი ან მეტი წევრი;

გ) სხვა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით. სხვა შემთხვევებში დაზარალებული თვითონ ფარავს ექსპერტიზის ხარჯებს;

9. ბენეფიარის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი აფორმებს პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლითაც გამყიდველი ბენეფიციარზე (მყიდველზე) ყიდის მის საკუთრებაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო უძრავ ქონებას. პირობადებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველი, უძრავი ქონების შესყიდვიდან 3 წლის განმავლობაში შეზღუდულია სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე გაასხვისოს ან/და ამავე მიზნით დაყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულებად საცხოვრებელი ფართი, გარდა თანამესაკუთრეთა შორის. ქონების გასხვისების სამწლიანი შეზღუდვა შეიძლება მოიხსნას კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ კომისია იმსჯელებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს ბენეფიციარს. შეზღუდვის ვადის (3 წლის) გასვლისთანავე, მყიდველი უფლებამოსილია სამინისტროსთან შეუთანხმებლად, ცალმხრივად გაასხვისოს შესყიდული უძრავი ქონება ან/და მისი წილი;

10. სამინისტრო ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი ბენეფიციარის (მყიდველის) სასარგებლოდ შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

11. კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საცხოვრებელი სახლი რეგისტრირდება დაზარალებული ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანასაკუთრებად.

12. სამინისტრო, ბენეფიციარის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ პროგრამის ფარგლებში არ შეისყიდის სახელმწიფოს მიერ ადგილმონაცვლეობისათვის ერთხელ უკვე შესყიდულ/გადაცემულ საცხოვრებელ ფართს.

მუხლი 7. ბენეფიციარისათვის ფინანსური მხარდაჭერა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით

1. ბენეფიციარის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერა განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული ოდენობის ფარგლებში.

2. თუ ბენეფიციარს დაწყებული აქვს მშენებლობა, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს მშენებლობის დასრულებას, რათა მოიწყოს უსაფრთხო გარემო, შეუძლია სამინისტროში წარადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე აკრედიტებული პირის დასკვნა/ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობის დასრულების მიზნით.

3. იმ შემთხვევაში თუ:

ა) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების ხარჯები აღემატება პროგრამით განსაზღვრულ თანხას, ბენეფიციარი თავად ფარავს დარჩენილ სხვაობას;

ბ) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის/მშენებლობის დასრულების ხარჯები ნაკლებია პროგრამით განსაზღვრულ დახმარებაზე, ბენეფიციარს გაეწევა დახმარება წარმოდგენილი ხარჯების შესაბამისად.

4. დაზარალებულ ოჯახებს, კომისიის გადაწყვეტილებით ეძლევათ შეთავაზება არა ნაკლებ 1 თვის ვადაში სამინისტროს წარუდგინოს მშენებლობის ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე; კომისიას შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლია შეცვალოს შეთავაზებული ვადა.

5. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ოჯახი ვერ წარადგენს მშენებლობის ნებართვას, პრიორიტეტთა ქულის გათვალისწინებით კომისია რიგით სხვა დაზარალებულ ოჯახს უგზავნის შეთავაზებას, მაგრამ მას შეუძლია მიმართოს კომისიას/სამინისტროს იმ ეტაპზე, როცა შეძლებს მშენებლობის ნებართვის წარმოდგენას. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან დაზარალებულ ოჯახს ადრინდელ ეტაპზე მიღებული ჰქონდა შეთავაზება, კომისია ფინანსური მხარდაჭერის მიზნით იმსჯელებს ურიგოდ.

6. კომისიის გადაწყვეტილებით, სახლის მშენებლობისათვის/მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად გამოიცემა მინისტრის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი აფორმებს უძრავი ქონების განკარგვის შეზღუდვის მიზნით ხელშეკრულებას მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან/მესაკუთრეებთან, რომლითაც ბენეფიციარი შეზღუდულია სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე გაასხვისოს ან/და ამავე მიზნით დაჰყოს ცალკეულ საკადასტრო ერთეულებად (უძრავი ქონება) მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაცემულია მშენებლობის ნებართვა. შეზღუდვა მოიხსნება მას შემდგომ, რაც ბენეფიციარი წარადგენს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე აკრედიტებული პირის დასკვნას, რომ საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე/მშენებლობის დასრულებაზე დაიხარჯა პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად.

7. საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის/მშენებლობის დასრულებისათვის გამოყოფილი ფინანსური მხარდაჭერის მიზნობრივად გამოყენებამდე, უძრავი ქონების გასხვისების შეზღუდვის მოხსნის თაობაზე კომისიას შეუძლია იმსჯელოს თუ

აღნიშნულისათვის არსებობს დასაბუთებული საფუძველი, რომელიც უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენებს ბენეფიციარს.

8. სამინისტრო ვალდებულია, სახლის მშენებლობისათვის/მშენებლობის დასრულებისთვის პროგრამით გათვალისწინებული თანხა ჩაურიცხოს დაზარალებული ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წარმომადგენელს (სხვა სრულწლოვანი წევრების ნოტარიულად დადასტურებული თანხმობის შემთხვევაში), მის მიერ წარდგენილ საბანკო ანგარიშზე, შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. სამინისტრო, საცხოვრებელი ფართის მშენებლობის/მშებელობის დასრულების მიზნით, არ გამოყოფს ფინანსურ მხარდაჭერას უძრავ ქონებაზე (მიწის ფართზე), რომელზეც ერთხელ უკვე იყო გაწეული დახმარება ამ პროგრამის ფარგლებში.